1940/2
Г. П. Б-ка

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. ივლისის 15 № 17 თბილისი

4289

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

62. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ზეთოვანი კულტურების (მზესუმზირას, საზეთე სელისა და სოიის) თესლის სავალდებულო ჩაბარების წლიური რაიონობრივი ნორმების შესახებ.

63. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლის სავალდებულო ჩაბარების წლიური რაიონობრივი ნორმების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

64. აზერბაიჯანული ახალი ალფაბეტის შემოღების შესახებ.

65. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ კომუნალური საბინაო ფონდის თაობაზე მიღებული დადგენილების გაუქმების შესახებ.

66. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემულ ზოგიერთ დადგენილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

67. საქართველოს სსრ მთაგორიანი და დაშორებული რაიონების სავაჭრო ორგანიზაციებისათვის სავაჭრო ფასდაკლების გადიდების შესახებ.

საქ. სსრ სახ. საქ. საბჭოს
ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

62. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ზეთოვანი კულტურების (მზესუმზირას, საზეთე სელისა და სოიის) თესლის სავალდებულო ჩაბარების წლიური რაიონობრივი ნორმების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 17 მაისის დადგენილებისა „კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ზეთოვანი კულტურების თესლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“, (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 14, მუხ. 324) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაწესდეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მზესუმზირას, საზეთე სელისა და სოიის სავალდებულო ჩაბარების შემდეგი წლიური რაიონობრივი ნორმები:

რაიონები	იმ კოლმეურნეობათა მიერ სავალდებულო ჩაბარების წლიური ნორმა, რომელთაც მომსახურებას უწევენ მტს-ები, ჰექტარ ნათესზე კილოგრამობით		
	მზესუმზირასა	საზეთე სელისა	სოიისა
აბაშის	—	—	49,7
ახალქალაქის	—	0,9	—
აღბულაღის	0,3	—	—
ბოგდანოვკის	—	1,5	—
ვანის	—	—	26,0
გეგეჭკორის	—	—	30,4
გურჯაანის	3,7	—	—
ზესტაფონის	—	—	40,9
ზუგდიდის	—	—	35,3
ყარაიის	4,3	—	—
ქუთაისის	—	—	26,2
ლაგოდეხის	3,3	—	—
ლანჩხუთის	—	—	48,1
მახარაძის	—	—	42,3
სამტრედის	—	—	45,0
საგარეჯოს	6,5	—	—
სიღნაღის	12,3	—	—
თბილისის	1,4	—	—
ხობის	—	—	39,7
წალენჯიხის	—	—	23,5
წალკის	—	1,2	—
[illegible]ათელწყაროს	14,6	—	—
[illegible]ბაკაიას	—	—	45,7
[illegible]ლუკიძის	—	—	41,8
[illegible]ბოს	—	—	30,3

ლ. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები რომელთაც მტს-ები მომსახურეობას არ უწევენ	მზესუმზირასა	საზეთე სელისა	სოიისა
ბათუმის	—	—	21,8
ქობულეთის	—	—	13,3
მაიაკოვსკის	—	—	28,5
ორჯონიკიძის	—	—	14,6
ფოთის	—	—	19,6
საჩხერის	—	—	12,0
ტყიბულის	—	—	9,8
ჭიათურის	—	—	14,5
ჩოხატაურის	—	—	22,0
ჩხარის	—	—	43,1
ჩხოროწყუს	—	—	30,8

2. დაწესდეს, რომ იმ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მზესუმზირას, საზეთე სელისა და სოიის სავალდებულო ჩაბარების ნორმები, რომელთაც მომსახურებას არ უწევენ სამანქანო სატრაქტორო სადგურები, 15 პროცენტით უნდა აღემატებოდეს იმ კოლმეურნეობათათვის დადგენილ ნორმებს, რომლებსაც მომსახურებას უწევენ ამათუიმ რაიონის სამანქანო სატრაქტორო სადგურები.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. ჩარკვიანი.

1940 წ. ივნისის 22. № 1123.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

63. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლის სავალდებულო ჩაბარების წლიური რაიონობრივი ნორმების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 11 აპრილის დადგენილებისა № 510 „კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლისა და ბრინჯის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ (სსრკ. დადგ. კრ. 1940 წ. № 9, მუხ, 236) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაწესდეს კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლის სავალდებულო ჩაბარების შემდეგი რაიონობრივი წლიური ნორმები, რაც გამოანგარიშებულია კოლმეურნეობებზე მიმაგრებულ თვითეულ ჰექტარ სახნავი მიწის მიხედვით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 11 აპრილის № 510 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად:

(კილოგრამობით ჰექტარ სახნავ მიწაზე)

რაიონები	მარცვლის სავალდებულო ჩაბარების წლიური ნორმა	მათ შორის:	
		ხორბალი	ფეტვი
ყვარლის	55	50	1,5
ლაგოდეხის	55	50	—
სიღნაღის	50	45	2,0
წითელ-წყაროს	50	45	2,5
ბორჩალოს	45	40	—
ყარაიის	40	35	—
ლუქსემბურგის	40	35	—
გურჯაანის	35	30	—
თელავის	30	25	1,5
საგარეჯოს	30	20	—
ახალქალაქის	25	10	—
ხაშურის	25	15	—
ქარელის	25	15	—
გორის	25	15	—
კასპის	25	15	—
ახალციხის	20	15	—
აღბულაღის	20	10	—
სტალინირის	20	15	—
ზნაურის	20	10	—
ბოგდანოვკის	15	5	—
ადიგენის	15	5	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

(კილოგრამობით ჰექტარ სახნავ მიწაზე)

რაიონები	მარცვლის სავალდებულო ჩაბარების წლიური ნორმა	მათ შორის:	
		ხორბალი	ფეტვი
ბორჯომის	15	10	—
თბილისის	15	10	—
მცხეთის	15	10	—
დუშეთის	15	5	—
ბაშკიჩეთის	15	10	—
ლენინგორის	15	5	—
წალკის	10	5	—
თიანეთის	10	5	—

2. დაწესდეს, რომ იმ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლის სავალდებულო ჩაბარების ნორმები, რომლებსაც მომსახურებას არ უწევენ სამანქანო სატრაქტორო სადგურები 15 პროცენტით უნდა აღემატებოდეს იმ კოლმეურნეობათათვის დადგენილ ნორმებს, რომლებსაც მომსახურებას უწევენ ამათუიმ რაიონის სამანქანო სატრაქტორო სადგურები.

3. დაწესდეს ერთპიროვნულ მეურნეობათა და არაკოოპერირებულ შინამრეწველთა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლის სავალდებულო ჩაბარების ნორმები 0,6 ცენტნერით მეტი იმ კოლმეურნეობათათვის დადგენილ ნორმებზე, რომლებსაც მომსახურებას უწევენ ამათუიმ რაიონის სამანქანო სატრაქტორო სადგურები.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. ჩარკვიანი.

1940 წ. ივნისის 22. № 1124.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

64. აზერბაიჯანული ახალი ალფაბეტის შემოღების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გადაყვანილ იქნას ლათინიზებული ალფაბეტიდან ახალ ალფაბეტზე (რუსული გრაფიკის საფუძველზე) ყველა სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები აგრეთვე გაზეთები და ჟურნალები, რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკაში მუშაობენ აზერბაიჯანულ ენაზე.

2. ლათინურიდან რუსულ ალფაბეტზე აზერბაიჯანული დამწერლობის გადაყვანას საფუძვლად დაედოს ახალი აზერბაიჯანული ალფაბეტი, რომელიც მიღებული და დამტკიცებულია აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ და რომელიც აგებულია რუსული გრაფიკისა და აზერბაიჯანული ენის ახალი ორთოგრაფიის საფუძველზე,

3. დაწესდეს ახალი აზერბაიჯანული ალფაბეტის შემოღების შემდეგი ვადები:

ა) აზერბაიჯანულ ენაზე მომუშავე საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის—1940 წლის 1 სექტემბერი;

ბ) ცენტრალური რესპუბლიკური აზერბაიჯანული გაზეთისა და ჟურნალისათვის—1940 წლის 15 ივლისი.

რაიონული პერიოდული პრესის გადაყვანა ახალ ალფაბეტზე გატარდეს თანდათანობით იმ ანგარიშით, რომ 1940 წლის 1 აგვისტოსათვის დამთავრდეს ყველა რაიონული გაზეთის გადაყვანა ახალ ალფაბეტზე.

4. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა 1940 წლის 1 სექტემბრიდან გადაიყვანოს ლათინურიდან ახალ ალფაბეტზე ყველა დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლები, წერაკითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლები, პედაგოგიური და პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლები და ყველა უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკაში მუშაობენ აზერბაიჯანულ ენაზე.

5. აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში წარმატებით გატარების მიზნით, განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) მოეწყოს ქალაქ თბილისში და ბორჩალოს, ლუქსემბურგის, ბაშკიჩეთის, ყარაიას, ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონების რაიონულ ცენტრებში ახალი ალფაბეტის შემსწავლელი 15 საათიანი წრეები. აღნიშნულ წრეებში გადამზადებულ იქნან აზერბაიჯანული სკოლებისა და ქ. თბილისის სხვა სასწავლებლების, რაიონულ ცენტრში არსებული სკოლების მასწავლებლები და ორ-ორი მასწავლებელი აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურისა აზერბაიჯანული მოსახლეობის თითოეული სასოფლო საბჭოდან;

ბ) მოეწყოს ანალოგიური წრეები აზერბაიჯანული მოსახლეობის ყველა სასოფლო საბჭოში, მოცემული სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლების მასწავლებელთათვის. აღნიშნული წრის ხელმძღვანელობა დაეკისროს რაიონული ცენტრების წრეებში გადამზადებულ მასწავლებლებს;

გ) 1940 წ. 1 სექტემბრამდე (განათლების რაიგანყოფილებათა შეხედულებით) მოეწყოს ადგილებზე ახალი ალფაბეტის შემსწავლელი 20 საათიანი წრეები იმ მოსახლეობისათვის, რომელმაც წინათ გაიარა წერაკითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სკოლები;

დ) 1940 წ. 1 სექტემბრიდან ანალოგიური წრეები 20 საათის მეცადინეობით მოეწყოს დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების 4—10 კლასებში, მოზრდილთა სკოლებში, პედაგოგიურ და პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლებსა და უმაღლესი სასწავლებლების აზერბაიჯანულ სექტორებში;

აღნიშნულ წრეებში მეცადინეობა ჩატარდეს არასამუშაო საათებში;

ე) შეტანილ იქნას ყველა აზერბაიჯანული სკოლებისა და სხვა სასწავლებლების დედაენის პროგრამაში 1940/41 სასწავლო წლისათვის აზერბაიჯანული ენისა და ორთოგრაფის შესწავლა ახალი ალფაბეტის საფუძველზე;

ვ) მასწავლებელთა გადასამზადებელი იმ კურსების პროგრამებში, რომლებიც მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის დაუსწრებელი სექციის ხაზით ეწყობა, აგრეთვე თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი აზერბაიჯანული პედაგოგიური სექტორის პროგრამებში შეტანილ იქნას აზერბაიჯანული ენის ორთოგრაფიისა და გრამატიკის, აგრეთვე სწავლების მეთოდიკის შესწავლა ახალი ალფაბეტის საფუძველზე;

ზ) აზერბაიჯანული სკოლებისა და სასწავლებლების მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსების მოწყობა და ჩატარება დაეკისროს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტს.

6. თბილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის აზერბაიჯანული სექტორი გადაყვანილ იქნას ახალ ალფაბეტზე 1940 წლის 1 სექტემბრიდან. დაევალოს თბილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დირექციას ჩაატაროს სათანადო მოსამზადებელი მუშაობა.

7. ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში ახალ ალფაბეტზე გადაკეთდეს ძველი აზერბაიჯანული შრიფტიანი საწერი მანქანები.

8. ახალ აზერბაიჯანულ ალფაბეტზე გადაკეთდეს აზერბაიჯანულ ენაზე მომუშავე დაწესებულებათა შტამპები და ბეჭდები, აგრეთვე აზერბაიჯანულ ენაზე დაწერილი აბრები.

9. აზერბაიჯანული მოსახლეობის რაიონების რაიონულმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა მოაწყონ რაიონულ ცენტრებში ახალი ალფაბეტის შემსწავლელი წრეები რაიონული საბჭოთა აქტივისათვის.

ანალოგიური წრეები მოეწყოს ყველა სასოფლო საბჭოში, სადაც აზერბაიჯანული მოსახლეობაა, სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა აპარატების მუშაკებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. გაზეთ „სოვეტ გიურჯისტანის“ რედაქციამ მოაწყოს ქალაქ თბილისში ახალი აზერბაიჯანული ალფაბეტის შემსწავლელი კურსები ცენტრალური (რესპუბლიკური) და რაიონული აზერბაიჯანული გაზეთებისა და ჟურნალების მუშაკებისათვის, სტამბების მუშაკებისა და რედაქციების და სტამბების მემანქანეებისათვის.

ამ ღონისძიებათა ხარჯების გაწევა დაეკისროს „სოვეტ გიურჯისტანის“ რედაქციას.

11. „კომუნისტის“ სტამბამ უზრუნველჰყოს ცენტრალური და რაიონული სტამბები საჭირო შრიფტით ახალ აზერბაიჯანულ ალფაბეტზე.

სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გაითვალისწინოს ახალი აზერბაიჯანული მატრიცების მოწოდება „ზარია ვოსტოკას“ სტამბისათვის.

12. სახელგამმა უზრუნველჰყოს ახალი აზერბაიჯანული ალფაბეტის შემსწავლელი კურსები და წრეები ცხრილებით, სახელმძღვანელოებითა და სასწავლო წიგნებით. თავის დროზე გამოსცეს ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელოები აზერბაიჯანული სკოლების პირველი ოთხი კლასისათვის ქართულ-აზერბაიჯანული და რუსულ-აზერბაიჯანული ლექსიკონებში ახალ ალფაბეტზე, აგრეთვე მიიღოს საჭირო ზომები იმისათვის, რომ ეს კლასები უზრუნველყოფილი იქნან სათანადო სასწავლო ხელსაწყოებით ახალ ალფაბეტზე სხვა საგნებშიაც.

13. გაზეთ „სოვეტ გიურჯისტანის“ და რაიონული აზერბაიჯანული გაზეთების რედაქციამ სისტემატურად გააშუქონ ახალი აზერბაიჯანული ალფაბეტის შემოღების საკითხი.

14. რაიონულმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა ყოველდღიური ხელმძღვანელობა გაუწიონ აღნიშნული დადგენილების გატარებას ადგილებზე და სისტემატურად ადევნონ თვალყური მის შესრულებას.

15. იმ ღონისძიებათა ხარჯები, რომლებსაც საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი ატარებს, გაწეულ იქნას საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის ანგარიშში, ხოლო იმ სხვა ღონისძიებათა ხარჯები, რომლებიც რაიონულ ცენტრებსა და სასოფლო საბჭოებში ტარდება, აზერბაიჯანული მოსახლეობის რაიონების რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების ხარჯზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. ივნისის 21. № 1139.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

65. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ კომუნალური საბინაო ფონდის თაობაზე მიღებული დადგენილების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1938 წლის 22 ივნისს „საქართველოს საბინაო კანონმდებლობის შეცვლის შესახებ“ მიღებული დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 16, მუხ. 79) დამატებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 20 დეკემბრის დადგენილება „კომუნალური საბინაო ფონდის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 1, მუხ. 5; № 22 მუხ. 235; საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 2, მუხ. 38; საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 16, მუხ. 79; საქ. სსრ დადგ. კრ. 1938 წ. № 4 მუხ. 13);

ბ) სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულების მე-6 მუხლის 4 კარის პუნქტი „ა“, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 20, მუხ. 208; საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 12, მუხ. 148).

2. საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ 1931 წლის 27 სექტემბრის „საქართველოს სსრ-ის გამოცალკევებული კუროორტების შესახებ“ მიღებული დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 21, მუხ. 228) მე-3 მუხლიდან ამოიშალოს სიტყვები: „მათ შორის იმ ფონდსაც, რაც გათვალისწინებულია კომუნალური საბინაო ფონდის შესახებ გამოცემული, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის დეკემბრის 20-ის დადგენილებაში“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 1, მუხ. 5)“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. ივნისის 28. № 1186.
თბილისი.

№ 17 ეროვნული ბიბლიოთეკა

66. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემულ ზოგიერთ დადგენილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1940 წლის 26 აპრილის გრძანებულებისა „სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს იმ დადგენილებათა შესახებ, რომლებმაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თაობაზე მიღებულ კანონთან დაკავშირებით დაჰკარგეს კანონის ძალა“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს:

ა) 1934 წლის 15 ივნისის დადგენილება „1934 წელს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრებ. 1934 წ. № 15, მუხ. 139; № 25, მუხ. 190; № 31, მუხ. 236; № 33, მუხ. 247; 1935 წ. № 23, მუხ. 133);

ბ) 1935 წლის 8 ივნისის დადგენილება „1935 წელს საქართველოს ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრებ. 1935 წ. № 18, მუხ. 112; № 32, მუხ. 198; 1936 წ. № 6, მუხ. 41);

გ) 1935 წლის 21 აგვისტოს დადგენილება „იმ კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადიდებული განაკვეთების შესახებ, რობელთაც მუდმივი შემოსავალი აქვთ არაკოოპერირებულ შინამრეწველურ-ხელოსნურ სარეწებისაგან“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 26, მუხ. 156);

დ) 1936 წლის 11 აგვისტოს დადგენილება „1936 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ“. (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 21, მუხ. 124; 1937 წ. № 3, მუხ. 25; საქ. სსრ დადგ. კრებ. 1939 წ. № 10, მუხ. 42);

ე) 1938 წლის 17 დეკემბრის დადგენილება „ხე-ტყის დამზადებაზე მომუშავე კოლმეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრებ. 1938 წ. № 9, მუხ. 49);

2. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 23 აგვისტოს დადგენილება „1937 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 14, მუხ. 103).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ბ. ჯვარიშეიშვილი.**

1940 წ. ივლისის 4. № 1243.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

67. საქართველოს სსრ მთაგორიანი და დაშორებული რაიონების სავაჭრო ორგანიზაციებისათვის სავაჭრო ფასდაკლების გადიდების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1940 წლის 19 ივნისის № 1118 დადგენილებისა „სსრ კავშირის მთაგორიანი და დაშორებული რაიონების სავაჭრო ორგანიზაციებისათვის სავაჭრო ფასდაკლების გადიდების შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გავრცელდეს ზემო-სვანეთის, ქვემო-სვანეთის და ყაზბეგის რაიონების სავაჭრო ორგანიზაციებზე ყოველგვარი საქონლის ფასდაკლება და წანამატები, რაც მოკავშირე მარეგულირებელი ორგანოების მიერ დაწესებულია შორეული ჩრდილოეთის რაიონების სავაჭრო ორგანიზაციებისათვის.

2. დაწესდეს მთაგორიანი და დაშორებული რაიონების სავაჭრო ორგანიზაციებისათვის (სიით, თანახმად დანართისა № 1) დამატებითი სავაჭრო ფასდაკლება 2% ოდენობით იმ ფასდაკლების გარდა, რაც დაწესებულია სავაჭრო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც მდებარეობენ რკინიგზის სადგურებისა და ნავსადგურებიდან 50 კილომეტრზე მეტი მანძილის დაშორებით, შემდეგ საქონელზე:

ა) ბამბის, სელის და აბრეშუმის ქსოვილებზე, ამ ქსოვილებიდან დამზადებულ ცალობრივ ნაწარმზე;

ბ) ბამბის, სელისა და აბრეშუმის ძაფზე, ძაფის ნაწარმზე;

გ) ტრიკოტაჟსა, ჩულქის და წინდის ნაწარმზე, მაქმანსა და შეკერილ ნაწარმზე;

დ) სამკერვალო ნაწარმსა და თავის სამკაულებზე;

ე) საკონდიტრო საქონელზე;

ვ) ყოველგვარ კონსერვსა და თევზეულის საქონელზე;

ზ) შაქარზე;

თ) სარეცხის საპონზე.

3. გავრცელდეს ამ დადგენილების 1 და 2 მუხ. გათვალისწინებული მთაგორიანი და დაშორებული რაიონების სავაჭრო ორგანიზაციებზე სავაჭრო ფასდაკლება ასანთზე 14 მანეთის რაოდენობით, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1940 წლის 2 იანვრის № 8 დადგენილებით „ასანთის სტანდარტისა და ფასების შესახებ“.

4. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს 1940 წლის 15 ივნისიდან.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის
მოადგ. **ბ. ჯვარიშეიშვილი.**

1940 წ. ივლისის 5. № 1260.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთაგორიანი და შორეული რაიონების დასახელება

1. წალენჯიხის
2. ამბროლაურის
3. ახალქალაქის
4. ბაშკიჩეთის
5. დუშეთის
6. ოხის
7. ცაგერის
8. გაგრის
9. ვალის
10. გუდაუთის
11. ოჩემჩირის
12. სუხუმის
13. ქედის
14. ქობულეთის
15. ხულოს
16. ჯავის
17. ზნაურის
18. ლენინგორის
19. სტალინირის

и распоряжений Правительства
Грузии Сер. .-25058
Тбилиси.

ეროვნული ბიბლიოთეკა

П. 597

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.
Полиграфкомбинат „Комунисти“, имени Л. П. Берия, Тбилиси, ул. Ленина № 28.

უე—1903. შეკვეთა (Заказ) № 1080. ტირ. (Тираж) 2000